

‘#unteilbar’ მეკლენბურგ-ფორპომერნი
თავისუფალი და ღია საზოგადოებისთვის
სოლიდარობას საზღვრები არ აქვს!

მსოფლიოში სოციალური-პოლიტიკური ცვლილებები მიმდინარეობს: რასიზმი, ანტისემიტიზმი და მიზანთროპია ბევრისთვის კვლავ სოციალურად მისაღები ხდება. ადამიანების საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, ქვიარ ცხოვრების სტილი, რელიგიური თავისუფლება და კანონის უზენაესობა ღიად ხდება შეტევის ადრესატი. ევროპაში ნაციონალისტური იდეოლოგია ძლიერდება, რომელიც გამოხატულია სოლიდარობის ნაკლებობით.

‘#unteilbar’ - განუყოფელი - 250 ათასი ადამიანი შეუერთდა მოწოდებას 2018 წელს ბერლინში, მათ შორის ინდივიდები და საინიციატივო ჯგუფები მეკლენბურგიდან. ახლა კი ჩვენი სურვილია, ყველას დავანახოთ ერთიანობა ადამიანებისა, ვისთვისაც სოლიდარობაზე დაფუძნებული საზოგადოება უმთავრესი ღირებულებაა. ჩვენი მიზანია ინტენსიური და უწყვეტი თანამშრომლობა უკვე არსებული ალიანსებისა, ამასთან ერთად, აქტიურობისა და კომუნიკაციის მეშვეობით ახალი ერთობების შექმნა. ‘#unteilbar’ დემონსტრაციებმა და აქციებმა გერმანიის მრავალ ქალაქში ცხადი გახადა რომ სამოქალაქო საზოგადოება, სხვადასხვა პერსპექტივებისა და საწყისი წერტილების მიუხედავად, ერთიანია. დემოკრატიის შენება დაუსრულებელი პროცესია და ყოველდღიურ ბრძოლას საჭიროებს. ამიტომაც, სამოქალაქო საზოგადოებას გამუდმებული სიფხიზლე მოეთხოვება.

‘#unteilbar’ მეკლენბურგი მხარს უჭერს მრავალფეროვან საზოგადოებას, გადამწყვეტი ზომების მიღებასა და ბრძოლას ისეთი პრობლემებისადმი, როგორიცაა: გლობალური კლიმატი, ბიომრავალფეროვნება და მსოფლიო მშვიდობა, სოციალური ინკლუზია და შემოქმედებითი თავისუფლების უფლება. ჩვენ გვსურს მივალწიოთ საყოველთაო სოლიდარობას იძულებით გადაადგილებული პირებისადმი, რომლებიც მარგინალიზებულნი არიან არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემისა და დღის წესრიგის მიერ. საცხოვრებელი ფართი და მობილობა უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ჩვენ ვიბრძვით კრიზისისგან დაზღვეულ სოციალური და ჯანდაცვის სისტემისათვის, რომელიც ორიენტირებულია ყველა ადამიანის კეთილდღეობაზე, ნაცვლად მოგებისა და რომელიც შეძლებს უზრუნველყოს საჭიროებისამებრ მოქალაქეთა მკურნალობის ხარჯები. ჩვენ ვიბრძვით და გვსურს ჯანდაცვის სისტემა, რომელიც შეძლებს გაუმკლავდეს კრისიზებს, მაგალითად როგორიცაა COVID-19.

ჩვენ ერთად ვიღწვით მომავლისთვის, რომელიც მოიაზრებს ყველა ადამიანს, არღვევს საზღვრებს და არავის ტოვებს ამ სივრცის მიღმა. ჩვენ გვსურს ისეთი სამომავლო რეალობა, სადაც განსხვავებულობა აერთიანებს საზოგადოებას და არა პირიქით, სადაც ინდივიდუალიზმი და თვითმყოფადი ცხოვრების სტილი უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენ ვიბრძვით ანტისემიტიზმისა და ყველა სხვა მიზანთროპული გამოვლინების, ასევე ანტიფემინიზმის წინააღმდეგ, ვენინააღმდეგებით სოციალური ხარჯების შემცირებას და გაღარიბების ტენდენციებს. ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ ღია და თავისუფალ საზოგადოებაში, სადაც სხვების მიმართ სოლიდარობა უმთავრესი ღირებულებაა.

2021 წლის არჩევნებისთვის, ჩვენ გვსურს გავახმოვანოთ ზემოთაღნიშნული იდეები ისე, რომ ხმა ყველას მიწვდეს. ჩავატარებთ სხვადასხვა ივენთებს მთელი მეკლენბურგ ფორპომერნის მასშტაბით და განსაკუთრებით რურალურ სივრცეებში. მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები კორონა ვირუსის რეგულაციები სრულად დაცვით განხორციელდება. ეს ყველაფერი რომ რეალობად ვაქციოთ, ჩვენ თქვენი გვერდში დგომა გვჭირდება. თუ ყველა ჩვენგანი მიიღებს მონაწილეობას, ჩვენ შევძლებთ დავამტკიცოთ, რომ: სიმრავლე კი არ გვყოფს, გვაერთიანებს!

ჩვენ ვართ ‘#unteilbar’ მეკლენბურგ ფორპომერნიში.